

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში *(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343)* შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 135-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„135. საანგარიშო პერიოდი

1. პირისათვის *(გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირებისა)* საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი.

2. რეზიდენტი საწარმოსთვის და საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებისთვის (საწარმოები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.

3. პირისთვის, რომელიც საშემოსავლო/მოგების გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით, ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის ნაწილში, საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.“

2. 155-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საწარმო და მეწარმე ფიზიკური პირი, რომელთა საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი *(საქმიანობის იმ ნაწილში, რომლისთვისაც დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება კალენდარული წლის მიხედვით)* ვალდებული არიან, მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ წინა საანგარიშო პერიოდის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- ა) არაუგვიანეს 15 მაისისა – 25 პროცენტი;
- ბ) არაუგვიანეს 15 ივლისისა – 25 პროცენტი;
- გ) არაუგვიანეს 15 სექტემბრისა – 25 პროცენტი;
- დ) არაუგვიანეს 15 დეკემბრისა – 25 პროცენტი.

3. 161-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომლის დროსაც:

ა.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ მიღებული ან მისაღები, ხოლო ამ ნაწილის „ა.ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიღებული კომპენსაციის თანხის მიხედვით, (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელის ჩათვლით) დღგ-ის ან/და პირგასამტეხლოს გარეშე, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ა.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი, მაგრამ:

ა.ბ.ა) არაუგვიანეს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლისათვის ან გაწეული მომსახურებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის (ინვოისის) წარდგენის მომენტისა, გარდა ამ ნაწილის „ა.ბ.ბ-ა.ბ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ა.ბ.ბ) არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა, თუ საქონლის (გარანტირებული სიმძლავრის, ელექტრო- ან თბოენერჯის, გაზის ან წყლის) მიწოდება ხდება რეგულარულად ან უწყვეტად. ამასთანავე, თუ პირი მიწოდებას აღრიცხავს საანგარიშო პერიოდის სხვადასხვა დღეს არა კალენდარული თვის, არამედ გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც საანგარიშო პერიოდს, ისე საანგარიშოს წინა პერიოდს, ასეთ შემთხვევაში საანგარიშო პერიოდში მიწოდებულად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდის სხვადასხვა დღის მიხედვით აღრიცხული (გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით აღრიცხული) საქონლის ოდენობა, მიუხედავად საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიწოდებულისა;

ა.ბ.გ) არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა, თუ მომსახურების გაწევა ხდება რეგულარულად ან უწყვეტად;

ა.ბ.დ) არაუგვიანეს მისაწოდებული საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის მომენტისა, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, გარდა ამ ნაწილის „ა.ბ.ბ“ და „ა.ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“.

ბ) მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. უძრავი ქონების მიწოდებისას, თუ არ დადგა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების რეგისტრაცია (გადაცემა) დამოკიდებულია ამ დოკუმენტის მხარის (მხარეების) მიერ გარკვეული ვალდებულების შესრულებაზე ან/და პირობის დადგომაზე, – ასეთი ვალდებულების შესრულების/პირობის დადგომის თარიღი;

4. 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0102 21, 0103 10 000 00, 0104 10 100 00, 0104 20 100 00, 0105 11, 0511 10 000 00, 0602 10, 2503 00, 2803 00, 3101 00 000, 3103–3105 (გარდა მექანიკური ნარევისა), 3808 91, 3808 92 და 3808 93 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი“

5. 174-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით, მათ შორის, დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთზე;“

6. 175-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი უფლებამოსილია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწეროს და მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის ან გაწეული/გასაწევი მომსახურების მიმღებს წარუდგინოს მხოლოდ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს. ამასთანავე, თუ პირი საქონლის (გარანტირებული სიმძლავრის, ელექტრო- ან თბოენერჯის, გაზის ან წყლის) მიწოდებას აღრიცხავს ციკლური დარიცხვებით, როდესაც მომხმარებლებთან ანგარიშსწორება ხორციელდება არა კალენდარული თვის, არამედ გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც საანგარიშო პერიოდს, ისე საანგარიშოს წინა პერიოდს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა შეიძლება გამოიწეროს ასეთი პერიოდის (ციკლის) მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში ამ კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ.ბ“ ქვეპუნქტით დასაბეგრი

ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება არა უგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღე.“.

7. 188-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის ცხრილის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)				
3	2402 10 000 01	-- სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ღერი	1.9
	2402 10 000 02	-- სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	2.2
	2402 20	ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	1.70
		უფილტრო სიგარეტები თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	0.6
	2403 11 000 00*	-- ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისათვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	35
	2403 19 000 00*	-- დანარჩენი	1 კგ	35
	2403 99 100 00	-- -- საღებავი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	35

მსუბუქი ავტომობილები (დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით, ხოლო იმპორტის შემთხვევაში – საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით), ძრავის მოცულობის 1 სმ ³				
4	8703	ა) 1 წლამდე	1 სმ ³	2.3
		ბ) 1 წლის	1 სმ ³	1.9
		გ) 2 წლის	1 სმ ³	1.6
		დ) 3 წლის	1 სმ ³	1.4
		ე) 4 წლის	1 სმ ³	1.2
		ვ) 5 წლის	1 სმ ³	1.0
		ზ) 6 წლის	1 სმ ³	0.8

	თ) 7 წლის	1 სმ ³	0.8
	ი) 8 წლის	1 სმ ³	0.8
	კ) 9 წლის	1 სმ ³	0.8
	ლ) 10 წლის	1 სმ ³	1.0
	მ) 11 წლის	1 სმ ³	1.2
	ნ) 12 წლის	1 სმ ³	1.4
	ო) 13 წლის	1 სმ ³	1.6
	პ) 14 წლის	1 სმ ³	1.9
	ჟ) 14 წელზე მეტის	1 სმ ³	2.3

ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა)				
5	2709 00 100 00	- აირის კონდენსატი ბუნებრივი	1000 მ ³	200
	2711 11 000 00	-- ბუნებრივი აირი (გათხევადებული)	1000 მ ³	200
	2711 12	-- პროპანი	1 ტ	120
	2711 13	-- ბუტანები	1 ტ	120
	2711 14 000 00	-- ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი და ბუტადიენი	1 ტ	120
	2711 19 000 00	-- დანარჩენი	1 ტ	120
	2711 21 000 00	-- ბუნებრივი აირი (აირისებრ მდგომარეობაში)	1000 მ ³	200
ნავთობპროდუქტები, ნავთობის დისტილატები და ნამუშევარი ნავთობპროდუქტები				
6	2710 12	-- მსუბუქი დისტილატები და პროდუქტები	1 ტ	500
	2710 19 110 00	----- გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	440
	2710 19 150 00	----- ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 110 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	440
	2710 19 210 00	----- რეაქტიული სათბობი	1 ტ	440
	2710 19 250 00	----- დანარჩენი	1 ტ	440
	2710 19 290 00	----- დანარჩენი	1 ტ	440
	2710 19 310 00	----- გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	400

2710 19 350 00	----- ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 310 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	400
2710 19 410 00	----- გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას. %-ისა	1 ტ	400
2710 19 450 00	----- გოგირდის შემცველობით 0,05 მას. %-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას. %-ისა	1 ტ	400
2710 19 490 00	----- გოგირდის შემცველობით 0,2 მას. %-ზე მეტი	1 ტ	400
2710 19 710 00	----- გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	800
2710 19 750 00	----- ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 710 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	800
2710 19 810 00	----- ძრავას ზეთები, კომპრესორის საპოხი ზეთი, ტურბინის საპოხი ზეთი	1 ტ	800
2710 19 830 00	----- სითხეები ჰიდრავლიკური მიზნებისათვის	1 ტ	800
2710 19 850 00	----- ღია ფერის ზეთები, ვაზელინის ზეთი	1 ტ	800
2710 19 870 00	----- ზეთი კბილანებისათვის და ზეთი რედუქტორებისათვის	1 ტ	800
2710 19 910 00	----- ლითონების დასამუშავებელი შედგენილობები, ფორმების გასაპოხი ზეთები, ანტიკოროზიული ზეთები	1 ტ	800
2710 19 930 00	----- ელექტრული საიზოლაციო ზეთები	1 ტ	800
2710 19 990 00	----- დანარჩენი საპოხი ზეთები და ზეთები დანარჩენი	1 ტ	800
2710 20 110 00	----- გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას. %-ისა	1 ტ	400
2710 20 150 00	----- გოგირდის შემცველობით 0,05 მას. %-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას. %-ისა	1 ტ	400
2710 20 190 00	----- გოგირდის შემცველობით 0,2 მას. %-ზე მეტი	1 ტ	400
2710 20 390 00	-- დანარჩენი	1 ტ	800
2710 91 000 00	-- პოლიქლორბიფენილების, პოლიქლორტრიფენილების ან პოლიბრომბიფენილების შემცველობით	1 ტ	800
2710 99 000 00	ნამუშევარი ნავთობპროდუქტები – ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ტანკის (ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების) ნარეცხი	1 ტ	100
	ნამუშევარი ნავთობპროდუქტები დანარჩენი	1 ტ	800

ბ) პირველი ნაწილის შენიშვნის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ამ ცხრილის მე-4 გრაფაში აღნიშნული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული, იმავე გრაფის მე-3 სვეტის (საქონლის დასახელება) „ა“-„ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული 0-დან 6 წლის ჩათვლით მსუბუქი ავტომობილებისათვის იმავე ქვეპუნქტებით განსაზღვრული აქციზის განაკვეთები ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში 60 პროცენტით მცირდება.

გ) პირველი ნაწილის შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. აქციზის განაკვეთი ამ ცხრილის მე-4 გრაფაში აღნიშნული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მარჯვენა მხარის საჭიანი ან გადატანილ საჭიანი ავტომობილებისთვის შეადგენს ამ ცხრილის მე-4 გრაფის მიხედვით, შესაბამისი კატეგორიის მსუბუქი ავტომობილისთვის განსაზღვრული აქციზის განაკვეთის სამმაგ ოდენობას.“.

8. 192-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აქციზით დასაბეგრი ოპერაციის ან/და საქონლის იმპორტის განხორციელებამდე, აგრეთვე ამ კოდექსის 190¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაციის შემთხვევისა) საქონლის შემძენი ან/და მიმღები პირისთვის გადაცემამდე აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება:

ა) აქციზით დასაბეგრი ალკოჰოლიანი სასმელები (მათ შორის, ლუდი), რომლებშიც ალკოჰოლის შემცველობა 1,15 გრადუსს აღემატება;

ბ) თამბაქოს ნაწარმი.“.

ბ) პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ ნაწილი:

„1¹. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაციის შემთხვევაში, აქციზური საქონლის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდება ხორციელდება შემძენი ან/და მიმღები პირის მიერ, აღნიშნული საქონლის შესაბამისი ორგანოდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირების დასრულებისთანავე.“.

9. 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) ფიზიკური პირი:

გ.ა.ა) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, შენობა-ნაგებობაზე ან მათ ნაწილზე), იახტებზე (კატარღებზე), შვეულმფრენებზე, თვითმფრინავებზე;

გ.ა.ბ) საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით საკუთრებაში არსებულ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით განსაზღვრულ ავტომობილებზე;

გ.ბ) არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე;

გ.გ) ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.

10. 202-ე მუხლის:

ა) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით განსაზღვრული ავტომობილისა) გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არა უმეტეს 0.2 პროცენტისა;

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.“

ბ) მე-5 ნაწილის შემდეგ დაემატოს მე-5¹ ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„5¹. ფიზიკური პირის ავტომობილზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია ავტომობილის ასაკის მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით, ლარებში:

ქონების გადასახადის განაკვეთი ავტომობილზე	
ასაკი	ფიქსირებული განაკვეთი ლარებში
1- წლამდე	500
1 წლიდან-5 წლამდე	240
5 წლიდან -10 წლამდე	120
10 წლის ზემოთ	60

“.

გ) მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. დასაბეგრ ქონებაზე (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით განსაზღვრული ავტომობილისა) საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთით.“.

გ) მე-8 ნაწილის შემდეგ დაემატოს 8¹ ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„8¹. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით განსაზღვრულ ავტომობილებზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთების მიხედვით.“.

11. 205-ე მუხლის მე-12 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით განსაზღვრული ავტომობილების შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.“.

12. 224-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 224. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი

1. საგადასახადო ორგანო, საჭიროების შემთხვევაში სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ, ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული პირობების შესაბამისად გადასახადის გადამხდელს ანიჭებს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსს.

2. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი სარგებლობს უსაფრთხოებასა და დაცვასთან დაკავშირებული გამარტივებული საბაჟო კონტროლით ან/და გამარტივებული საბაჟო წესებით.

3. პირს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) მისი საქმიანობა შესაბამისობაშია საგადასახადო კანონმდებლობასთან;

ბ) გააჩნია კომერციული ან/და სატრანსპორტო აღრიცხვის იმგვარი მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი საბაჟო კონტროლის განხორციელებას;

გ) არის გადახდისუნარიანი;

დ) გააჩნია უსაფრთხოების და დაცვის შესაბამისი სტანდარტი.

4. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მიღების პირობები, გამარტივებული საბაჟო პროცედურებით სარგებლობის წესი და საქონლის ნუსხა, რომელზეც არ ვრცელდება გამარტივებული საბაჟო ფორმალობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“.

13. 224-ე მუხლს დაემატოს 224¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 224¹. ოქროს სია

ოქროს სიაში შეყვანით პირს ენიჭება უფლება, კუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ან/და გატანისას ისარგებლოს გამარტივებული პროცედურებით.“.

14. 309-ე მუხლის მე-16 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირისთვის საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში არის ამ საქმიანობის მიხედვით ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი, რომელიც იბეგრება 10%-იანი განაკვეთით. ამ შემთხვევაში, პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15

რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით წარადგინოს დეკლარაცია და ამავე ვადაში გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი.“.

15. 309-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 98-ე - მე-100 ნაწილები:

„98. 2017 წლის პირველი იანვრის შემდგომ პერიოდში მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე, რომელზეც საკომპენსაციო თანხა/თანხის ნაწილის გადახდა განხორციელდა 2017 წლის პირველი იანვრამდე (საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე), დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების/ მომსახურების გაწევის მომენტი.

99. ამ კოდექსის 98¹ მიზნებისთვის, 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან:

ა) ამ მუხლის 94-ე ნაწილით განსაზღვრულ პირისგან მიღებული დივიდენდის განაწილება არ ითვლება მოგების განაწილებად.

ბ) ამ მუხლის 94-ე ნაწილით განსაზღვრულ პირზე, დივიდენდის განაწილება ითვლება მოგების განაწილებად.

100. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მსუბუქი ავტომობილები იბეგრება ამ კანონის გამოქვეყნებამდე მოქმედი აქციზის განაკვეთით, თუ შეძენილი ავტომობილის ტრანსპორტირება დაწყებულია არაუგვიანეს 2016 წლის 1 დეკემბრისა.“.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის მე-4 გრაფისა და ამავე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის მე-4 გრაფა და ამავე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტი წარმოადგენს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანმდევ დოკუმენტს.

კანონპროექტის შემუშავების მიზეზია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემოსულობების ნაწილში მისაღები საგადასახადო შემოსავლების უზრუნველყოფის, აგრეთვე საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული და სხვა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემოსულობების ნაწილში მისაღები საგადასახადო შემოსავლების უზრუნველყოფა. აგრეთვე საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული და სხვა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

1-2. საგადასახადო კოდექსის 135-ე მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით. კერძოდ, ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირისთვის საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგვრის საანგარიშო პერიოდი ნაცვლად კალენდარული წლისა, განისაზღვრება კალენდარული თვით.

ამასთან, ამ კატეგორიის გადასახადის გადამხდელებს აღარ ექნებათ მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება, რის გამოც ცვლილება შედის საგადასახადო კოდექსის 155-ე მუხლის პირველ ნაწილში.

3. დამატებული ღირებულების გადასახადი არაპირდაპირი მრავალსაფეხურიანი გადასახადია, რომლის გადახდა ხორციელდება მომსახურებისა და საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის თითოეულ ეტაპზე და მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.

აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, დღგ-ის იურიდიული შემადგენლობის თითოეული ელემენტის მკაფიოდ დარეგულირება სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ არსებით ამოცანას წარმოადგენს, რამდენადაც მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი საქონლის/ მომსახურების წარმოებისა და მიწოდების თითოეულ კომერციულ დონეზე გადასახადის მოცულობის და დაბეგვრის მომენტის სწორად განსაზღვრა და შედეგად, გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესთა დაცვის უზრუნველყოფა.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც კომპენსაციის გადახდის ვალდებულება არსებითად წინ უსწრებს თვითონ საქონლის მიწოდებას. ასეთ შემთხვევებში, აღწერილი ოპერაციის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის, როგორც გადასახადის გადამხდელისთვის, ასევე საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსთვის, დასაბეგრი ოპერაციის დროის განსაზღვრა სირთულეს წარმოადგენს, რამდენადაც კომპენსაცია გადახდილია, საქონლის მიწოდება კი, მაგალითად, ერთი წლის შემდეგ განხორციელდება. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების რისკი. ამასთან, არსებული პრაქტიკით, დამატებით პრობლემურ საკითხს წარმოადგენს საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის შემდგომ დასაბეგრი ოპერაციის დეკლარირება, როდესაც საქონლის მიწოდებელს/მომსახურების გამწვევს კუთვნილი გადასახადის თანხა ოპერაციის დაბეგვრის მომენტში უკვე გახარჯული აქვს.

გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში, როდესაც კომპენსაციის გადახდა წინ უსწრებს საქონლის მიწოდებას/ მომსახურების გაწევას, როგორც აღინიშნა, გადასახადის გადამხდელს უჭირთ დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის დროის სწორად განსაზღვრა, რაც ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოქმედი რედაქციის შესაბამისი რეგულაციის ორაზროვნებით არის გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება დღგ-ის მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაცია მოახდინოს ევროპის საბჭოს №2006/112 დირექტივასთან (*ასოცირების შეთანხმების 285-ე მუხლი და 22-ე დანართი*), რომელიც არეგულირებს საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის საკითხებს.

დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მთელი რიგი დებულებები, მათ შორის, დაბეგვრის დრო. კერძოდ,

დირექტივის მიხედვით დღგ-ით დაბეგვრას ექვემდებარება წინასწარი გადახდა (ავანსი). დღგ ერიცხება მიღებული თანხის ოდენობას და გადაიხდება გადახდის მიღების მომენტში (მუხლი 65).

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახდისაგან თავის არიდების რისკის აღმოფხვრის, კანონში ორაზროვანი და ბუნდოვანი დებულებების გასწორების, სწორი საგადასახადო პრაქტიკის დამკვიდრების და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის პირველ ნაწილში ხორციელდება ცვლილება, რომლის თანახმად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის დროდ განისაზღვრება არაუგვიანეს საკომპენსაციო თანხის წინასწარ (ე.წ. „ავანსის“ გადახდის მომენტი) გადახდის მომენტი, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე.

4. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით დაწესებული საგადასახადო შეღავათი ვრცელდება 3105 სასაქონლო პოზიციაში შემავალი საქონლის იმპორტსა და ქვეყნის შიგნით მიწოდების შემთხვევებზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ საქართველოში ხორციელდება ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამო აზოტისა და ფოსფორის შემცველი სასუქის ე.წ. ფოსფოროვანი ამონიუმის ნიტრატის (მექანიკური ნარევი) იმპორტი.

მექანიკური შერევის გზით მიღებული სასუქების ტრანსპორტირება და დასაწყობება იწვევს განსხვავებული ქიმიური შედგენილობის გრანულების არათანაბარ გადანაწილებას ნარევიში, რის გამოც არაერთგვაროვან ნარევიში არსებული მცირე რაოდენობის ფოსფორი არათანაბრად მიეწოდება მცენარეს. მსგავსი არაერთგვაროვანი შედგენილობის სასუქი ნიადაგში შეტანამდე საჭიროებს ჰომოგენიზაციას და ხანგრძლივ არევას. არაჰომოგენიზირებული სასუქის ნიადაგში შეტანამ შესაძლებელია განაპირობოს მისი ეფექტურობის დაქვეითება. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასევე აღნიშნავს, რომ შეზავებული სახით შექმნილი სასუქის შემოტანისას იმპორტიორი იღებს საგადასახადო შეღავათებს, რაც ქმნის არაჯანსაღი კონკურენციის პირობებს ადგილობრივ ბაზარზე.

ანალოგიური რეკომენდაციით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართა საქართველოს ბიზნესმბუდსმენმაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ახალი რედაქციით ყალიბდება საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილს „გ“ ქვეპუნქტი, რაც უზრუნველყოფს დაბეგვრის თანაბარ რეჟიმს იმპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებელთა შორის.

5-6. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის პირველ ნაწილში განსახორციელებელი ცვლილებებიდან გამომდინარე, ახალი რედაქციით ყალიბდება საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის მე-8 ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს უძრავი ქონების მიწოდების შემთხვევაში, აგრეთვე 174-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და 175-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც განისაზღვრება, რომ წინასწარი გადახდის (ავანსის) დღ-ით დაბეგვრის შემთხვევაში გამოიწერება დღ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და შესაძლებელი იქნება გადახდილი დღ-ის ჩათვლა.

7. ეკონომიკური რეფორმების განვლილი პერიოდი ადასტურებს, რომ აქციზის გადასახადს გააჩნია როგორც ფისკალური, ასევე რეგულირებადი ფუნქცია, რადგან აღნიშნული გადასახადით, როგორც წესი, იბეგრება ისეთი ტიპის საქონელი, რომლის მოხმარების მავნე შედეგების აღმოსაფხვრელად სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ხარჯის გაღება უწევს.

კანონპროექტით იზრდება აქციზის განაკვეთი ზოგიერთ საქონელზე, რითაც ერთის მხრივ, მიღწეული იქნება ფისკალური ეფექტი და საბიუჯეტო სტაბილურობა, მეორეს მხრივ გაძლიერდება აქციზის მარეგულირებელი ფუნქცია. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული არ გამოიწვევს სფეროში მოღვაწე ბიზნესების საქმიანობის შეფერხებას და უკანონო ვაჭრობის მოცულობის ზრდას.

სსკ-ის 188-ე მუხლში იცვლება მე-3 გრაფა რაც ითვალისწინებს 2017 წლის 1 იანვრიდან აქციზის განაკვეთის ფიქსირებულ ზრდას:

კოდი	დასახელება	რაოდენობა	არსებული განაკვეთი	ახალი განაკვეთი	ცვლილება
2402 10 000 01	სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ღერი	1.3	1.9	0,6
2402 10 000 02	სიგარილეები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	1.5	2.2	0,7
2402 20	ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	1.1	1.7	0,6
	უფილტრო სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	0.3	0.6	0,3
2403 11 000 00*	ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისათვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	25	35	10
2403 19 000 00*	დანარჩენი	1 კგ	25	35	10
2403 99 100 00	სადეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	25	35	10

თამბაქოს დაბეგვრის მიმართულებით საქართველოს აქვს საერთაშორისო ვალდებულებები, კერძოდ:

საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის დეკემბერში მოახდინა თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო-კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 15 მაისიდან. თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციით

განსაზღვრულია თამბაქოს ნაწარმზე სატარიფო და საგადასახადო ზომები. კერძოდ, კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით ქვეყნებმა უნდა განახორციელონ საგადასახადო და შესაძლებლობის შემთხვევაში ფასების პოლიტიკა, მათ შორის თამბაქოს მოხმარების შესამცირებლად (გაერო, 2003 წლის 21 მაისი).

მეორეს მხრივ, ასოცირების ხელშეკრულებით საქართველომ აიღო ვალდებულება დანერგოს ევროკავშირის 2011 წლის 21 ივნისის 2011/64/EU დირექტივა (წარმოებული თამბაქოს აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და განაკვეთების შესახებ). დირექტივის მე-10 მუხლის შესაბამისად, სიგარეტზე აქციზურმა გადასახადმა საქართველოში გარკვეული პერიოდის (სავარაუდოდ 7-10 წელი) შემდეგ უნდა შეადგინოს საშუალო შეწონილი საცალო ფასის არანაკლებ 60%, მაგრამ არანაკლებ 90 ევროსი 1000 ლერ სიგარეტზე.

ფინანსთა სამინისტროს მიერ შეფასებულია თამბაქოს აქციზის ზრდასთან დაკავშირებით არსებული რისკები, მათ შორის არალეგალური ვაჭრობის ზრდის რისკი და აღნიშნული შეფასების გათვალისწინებით წარმოდგენილი კანონპროექტით თამბაქოს იზრდება აქციზის ფიქსირებული განაკვეთი თამბაქოს ნაწარმზე.

სსკ-ის 188-ე მუხლში იცვლება მე-4 გრაფა რაც ითვალისწინებს მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის განაკვეთის ზრდას.

მსუბუქი ავტომობილები (დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით, ხოლო იმპორტის შემთხვევაში-საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით), ძრავის მოცულობის 1 სმ ³					
სეს ესნ კოდი	ასაკი	ერთეული	მოქმედი	ახალი	სხვაობა
8307	1 წლამდე	1 სმ3	1.5	2.3	0.8
	1 წელი	1 სმ3	1.5	1.9	0.4
	2 წელი	1 სმ3	1.4	1.6	0.2
	3 წელი	1 სმ3	1.3	1.4	0.1
	4 წელი	1 სმ3	1.2	1.2	0.0
	5 წელი	1 სმ3	1.1	1.0	-0.1
	6 წელი	1 სმ3	0,7	0.8	0.1
	7 წელი	1 სმ3	0,5	0.8	0.3
	8 წელი	1 სმ3	0,5	0.8	0.3
	9 წელი	1 სმ3	0,5	0.8	0.3
	10 წელი	1 სმ3	0,5	1.0	0.5
	11 წელი	1 სმ3	0,5	1.2	0.7
	12 წელი	1 სმ3	0,5	1.4	0.9
	13 წელი	1 სმ3	0,6	1.6	1.0
	14 წელი	1 სმ3	0,7	1.9	1.2
14 ზემოთ	1 სმ3	0,8	2.3	1.5	

ამასთან, მარჯვენასაჰიან მსუბუქ ავტომობილებზე (ცხრილში მითითებული იგივე კატეგორიის მიხედვით) აქციზის განაკვეთი განისაზღვრება სტანდარტული განაკვეთის სამმაგი ოდენობით.

ასევე, გარემოს დაცვითი პოლიტიკის გათვალისწინებით 0-დან 6 წლის ჩათვლით მსუბუქი ავტომობილებისათვის საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული აქციზის განაკვეთები ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში შემცირდება 60 პროცენტით, ნაცვლად დღეს არსებული 50 პროცენტისა.

წარმოდგენილი კანონპროექტით, შემუშავებულია ავტომობილზე აქციზის განაკვეთები, თანაბარი საგადასახადო ტვირთის პოლიტიკისა და ასევე გარემოს დაცვითი პოლიტიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ძველი და გარემოსათვის მავნე ავტომობილებისათვის უფრო მძიმე საგადასახადო ტვირთს.

ასევე, სსკ-ის 188-ე მუხლში იცვლება მე-5 და მე-6 გრაფები, რაც ითვალისწინებს 2017 წლის 1 იანვრიდან ნავთობპროდუქტზე და ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავად გამოყენებულ ბუნებრივ აირზე, აქციზის განაკვეთების ზრდას. კერძოდ: 1 ტონა ბენზინზე აქციზის განაკვეთი იზრდება 250 ლარიდან 500 ლარამდე, 1 ტონა დიზელზე - 150 ლარიდან 400 ლარამდე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავად გამოყენებულ **1000 მ³** ბუნებრივ აირზე 80-დან 200 ლარამდე, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზეთებზე 400-დან 800 ლარამდე.

8. სსკ-ის 192-ე მუხლს ემატება ახალი 1¹ ნაწილი, რომლის შესაბამისადაც ზუსტდება, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაციისა აქციზური საქონლის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდება ხორციელდება საქონლის შესაბამისი ორგანოდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირების დასრულებისთანავე. ამავე მიზეზით ახალი რედაქციით ყალიბდება ამავე მუხლის პირველ ნაწილი.

9-11. კანონპროექტის მიხედვით, ცვლილებები ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 201-ე, 202-ე და 205-ე მუხლებში. კერძოდ, ფიზიკური პირი, რომლის ოჯახის წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია, ვალდებული ხდება გადაიხადოს ქონების გადასახადი მის საკუთრებაში მყოფ მსუბუქ ავტომობილზე. ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია ავტომობილის ასაკის მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით, ლარებში:

ქონების გადასახადის განაკვეთი ავტომობილზე	
ასაკი	ფიქსირებული განაკვეთი ლარებში
1- წლამდე	500
1 წლიდან-5 წლამდე	240
5 წლიდან -10 წლამდე	120
10 წლის ზემოთ	60

“.

12. საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების დღის წესრიგის (2014-2016წწ.) შესაბამისად საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება 2016 წლის ბოლომდე ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემა დაუახლოვოს ევროკავშირის შესაბამის სისტემას, ურთიერთალიარების შესაძლებლობით, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი რედაქციით ყალიბდება სსკ-ს 224-ე მუხლი, რომლითაც დგინდება საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების პირობები და წესი.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მქონე პირს ექნება შემდეგი სახის პრივილეგიები: გამარტივებული საბაჟო პროცედურებით სარგებლობა, მათ მიმართ საქონლის ფიზიკური და დოკუმენტური შემოწმების ნაკლებად გამოყენება დაცვისა და უსაფრთხოების (საბაჟო კონტროლი) სფეროში, წინასწარ ინფორმირება კუთვნილი საქონლის ფიზიკური დათვალიერების თაობაზე; პრიორიტეტული მიდგომა თუ კუთვნილი საქონელი დაექვემდებარა კონტროლს; საბაჟო კონტროლის მისთვის სასურველ ადგილზე განხორციელების შესაძლებლობა და სხვა;

13. სსკ-ის ემატება 244¹-ე მუხლი, რომლითაც ახალი რედაქციით ყალიბდება დღეს მოქმედი „ოქროს სიის“ მარეგულირებელი დებულება. საგადასახადო კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს ფინანსთა მინისტრს, კვლავ ექნება საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე გადასახდელი იმპორტისა და ექსპორტის გადასახდელების გადახდის განსხვავებული ვადების განსაზღვრის შესაძლებლობა, საქონელთა კატეგორიებისათვის ან დეკლარანტთა გარკვეული სეგმენტის მიმართ.

ამასთან, 224¹-ე მუხლი (ოქროს სია) იმოქმედებს, როგორც დროებითი ნორმა, რომელიც გაუქმდება მხოლოდ საქართველოში ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემის სრულყოფილად ამოქმედების შემდგომ.

14. სსკ-ის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილი, ყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირისთვის საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში არის ამ საქმიანობის მიხედვით ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი, რაც დაიბეგრება 10%-იანი განაკვეთით, ნაცვლად დღეს არსებული 5 პროცენტისა.

ამ შემთხვევაში, პირი ვალდებულია ხდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით წარადგინოს დეკლარაცია და ამავე ვადაში გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი.

15. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს ემატება 98-ე ნაწილი, რომლის შესაბამისადაც ზუსტდება, რომ 2017 წლის პირველი იანვრის შემდგომ პერიოდში მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე, რომელზეც თანხის (ავანსის) გადახდა განხორციელდა წინასწარ, 2017 წლის პირველი იანვრამდე (საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე), დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ჩაითვლება საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მომენტი.

საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს ემატება მე-99 ნაწილი.

საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილის შესაბამისად კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი მოგების გადასახადის ახალი რეჟიმით დაიბეგრებიან 2019 წლის პირველი იანვრიდან.

მოგების გადასახადის ახალი რეჟიმის მიხედვით არ იბეგრება საწარმოს მიერ საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტისთვის მოგების განაწილება.

შესაბამისად, გარდამავალ პერიოდში (2017 წლიდან - 2019 წლამდე) ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც დივიდენდს მიიღებს საწარმოდან (რომელიც იბეგრება ახალი რეჟიმით) შესაძლოა დარჩეს მოგების გადასახადით დაბეგვრის გარეშე.

მეორეს მხრივ, გარდამავალ პერიოდში ერთი და იგივე თანხა შესაძლებელია ორჯერ დაიბეგროს, თუ ფინანსური ინსტიტუტი დივიდენდს გასცემს საწარმოზე. რომელიც იბეგრება ახალი რეჟიმით.

ცვლილება ხორციელდება აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს ემატება მე-100 ნაწილი, რომლის თანახმად გარდამავალ პერიოდში მსუბუქი ავტომობილები დაიბეგრება აქციზის განაკვეთების ცვლილებამდე არსებული განაკვეთით, თუ შეძენილი ავტომობილის ტრანსპორტირება დაწყებულია არაუგვიანეს 2016 წლის 1 დეკემბრისა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება 2017 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს გაზრდის სავარაუდოდ 518.0 მლნ. ლარით. მათ შორის,

თამბაქოს აქციზის განაკვეთის ზრდით ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი სავარაუდოდ გაიზრდება 190.0-200.0 მლნ.ლარით;

მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის განაკვეთის ზრდით - 45.0 მლნ.ლარით.

ბენზინზე, დიზელზე და ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავად გამოყენებულ ბუნებრივ აირზე აქციზის ზრდით -250.0 მლნ.ლარით.

ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირისთვის საშემოსავლო/მოგების გადასახადის 5%-იანი განაკვეთის 10%-ამდე გაზრდით ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი სავარაუდოდ გაიზრდება 30.0 მლნ.ლარით.

40 000 ლარზე მეტი შემოსავალის მქონე ფიზიკურ პირთა ავტომანქანების ქონების გადასახადთ დაბეგვრის შედეგად საშემოსავლო ნაწილი სავარაუდოდ გაიზრდება 3 მლნ.ლარით.

კანონპროექტით წარმოდგენილი სხვა ცვლილებების, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, მოსალოდნელი გავლენის ზუსტი შეფასება, ფაქტობრივად შეუძლებელია.

განგარიშება განხორციელებულია გასული წლების ფაქტიური მაჩვენებლების და მიმდინარე წლის გათვალისწინებით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიხედვით იზრდება: აქციზის განაკვეთები საწვავზე, თამბაქოს ნაწარმზე და მსუბუქ ავტომობილებზე, ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობისთვის არსებული მოგების/საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, აგრეთვე იცვლება საქონლისმოწოდებაზე/მომსახურების გაწევაზე წინასწარ გადახდილი თანხების დაბეგვრის წესი, რაც შესაბამისად აისახება იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, თუმცა მოსალოდნელი ზუსტი ფინანსური შედეგის დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ იცვლება გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა